აბდესი სრულყოფილად აიღე, თითებს შორის წყალი გაატარე და ცხვირში ღრმად შეიყვანე წყალი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მარხულობ

ლაყიიტ ბინ საბირამ (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) თქვა: «მე ვიყავი ბანუ ალ-მუნთაფიყის წარმომადგენელი (ან მათ შორის ერთ-ერთი), რომელიც ალლაჰის შუამავალთან ელჩად გაიგზავნა. როდესაც მასთან მივედით, სახლში ვერ დაგვხდა, მაგრამ შევხვდით მორწმუნეთა დედას (აიშა ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) და მან ბრძანა, რომ ჩვენთვის ხორციანი ფაფა მოემზადებინათ, და ის სწრაფად მოგვიმზადეს. მოგვიტანეს ასევე 'კინაუ' – ეს არის ჭურჭელი, რომელშიც ფინიკი იყო, შემდეგ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მოვიდა და გვკითხა: «რამე საკვები მიირთვით? ან რამე მოგიმზადეს?» ჩვენ ვუპასუხეთ: "დიახ, ო ალლაჰის შუამავალო", როდესაც შუამავალთან ერთად ვისხედით, მწყემსმა თავისი ფარა მოიყვანა სადგომზე, მასთან ერთად პატარა ბატკანი იყო, რომელიც ხმამაღლა ბღაოდა, შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ჰკითხა მწყემსს: «ჰეი შენ, შენმა ცხვარმა რა მოიგო?» მწყემსმა უპასუხა: "ბატკანი", შუამავალმა ბრძანა: «მაშინ ამის სანაცვლოდ ერთი ცხვარი დაკალი», შემდეგ შუამავალმა დაამატა: «არ იფიქრო, რომ ეს მხოლოდ შენთვის გავაკეთეთ. ჩვენ გვაქვს ასი ცხვარი და არ გვინდა მათი რიცხვის ზრდა. ამიტომ, როდესაც მწყემსი ახალ ბატკანს მოიყვანს, ჩვენ მის სანაცვლოდ ერთ ცხვარს ვკლავთ», ლაყიტ იბნ საბირამ (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) ჰკითხა: "ო ალლაჰის შუამავალო, მე მყავს ცოლი, რომელსაც ბილწსიტყვაობა ახასიათებს. როგორ მოვიქცე?" შუამავალმა უთხრა: «მაშინ გაეყარე მას». ლაყიტმა უთხრა: "ო ალლაჰის შუამავალო, მასთან დიდხანს ვცხოვრობდი და შვილებიც მყავს მისგან", შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მიუგო: «მაშინ დაარიგე ის», (ჰადისის გადმომცემმა განმარტა, რომ შუამავალმა იგულისხმა): მასთან რბილი შეგონებებით იმოქმედე, შემდეგ შუამავალმა დაამატა: «თუ მასში სიკეთე იქნება გააკეთებს(დაგიმორჩილდება). ცოლი, როგორც მონა ისე არ სცემო!» ლაყიტმა (ალლაჰი იყოს კმაყოფილი) ჰკითხა: "ო ალლაჰის შუამავალო, მასწავლე აბდესის აღების წესი", შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უთხრა: «აბდესი სრულყოფილად აიღე, თითებს შორის წყალი გაატარე და ცხვირში ღრმად შეიყვანე წყალი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მარხულობ».

[სანდო (საჰიჰ)] [رواه أبو داود والترمذي والنسائي وابن ماجه]

ლაყიტ ბინ საბირამ (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გვაუწყა, რომ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თავისი ტომის, ბანუ ალ-მუნთაფიყის ხალხთან ერთად ელჩად გაემგზავრა და თქვა: ჩვენ შუამავლის სახლთან მივედით, მაგრამ ის შინ არ დაგვხვდა. იქ მორწმუნეთა დედა აიშა (ალლაჰი იყოს კმაყოფილი) შეგვხვდა. მან ბრძანა, რომ ჩვენთვის ფქვილითა და ცხიმით მომზადებული ბულიონი გაემზადებინათ, და მოგვიტანეს ასევე ჭურჭელი, რომელშიც ფინიკი იყო. შემდეგ შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მოვიდა და თქვა: თქვენთვის რამე საჭმელი შემოგთავაზეს? ჩვენ ვუპასუხეთ: „დიახ.“ ლაყიტ ბინ საბირამ (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) განაგრძო: როდესაც შუამავალთან ერთად ვისხედით, მოვიდა მისი ფარის მწყემსი, რომელიც ცხვრებს ღამის სადგომისკენ მიერეკებოდა. მასთან ერთად იყო

ახლად დაბადებული თიკანი, რომელიც ხმამაღლა ბღაოდა, შუამავალმა ჰკითხა მწყემსს: რა მოიგო ცხვარმა? უპასუხა: დედალი ბატკანი. მაშინ შუამავალმა უთხრა: მაშ, მის სანაცვლოდ ერთი ზრდასრული ცხვარი დაკალი ჩვენთვის. შემდეგ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) დაამატა: ნუ იფიქრებ, რომ ჩვენ ეს მხოლოდ თქვენი გულისთვის გავაკეთეთ და დავკალით, ჩვენ გვყავს ზუსტად ასი ცხვარი, და არ გვინდა, რომ მათი რაოდენობა გაიზარდოს. ამიტომ, როდესაც ახალი ბატკანი იბადება, მის სანაცვლოდ ერთ ზრდასრულ ცხვარს ვკლავთ, ლაყიტმა თქვა: მე ვუთხარი: ო ალლაჰის შუამავალო, ჩემს ცოლს მწარე და ბილწსიტყვიანი ენა აქვს. როგორ მოვიქცე მასთან? შუამავალმა უთხრა: მაშიან გაეყარე მას. მან თქვა: ვუთხარი: ო ალლაჰის შუამავალო, მასთან ძველი ურთიერთობა მაკავშირებს და მისგან შვილები მყავს. მან თქვა: მიეცი ნუგეში, რადგან თუ მასში სიკეთე არის, ის მიიღებს შენს რჩევას. ხოლო თუ არ მოისმენს, მსუბუქად დაარტყი, მაგრამ არ დაარტყა ისე, როგორც მონებს სცემ. შემდეგ ლაყიტმა უთხრა: ო ალლაჰის შუამავალო, მაცნობე პატარა განბანვის შესახებ. მან უთხრა: პატარა განბანვის დროს წყალი კარგად მიაწვდინე განბანვის ადგილებს, ყოველ კიდურს მიეცი მისი სრული უფლება, და არ დატოვო რამე მისი ვალდებულებებიდან და სუნნეთიდან. ხელისა და ფეხის თითები კარგად გაშალე მათი ბანვის დროს. ასევე, მოუმატე წყლის ჩასუნთქვას და გამოყოფას აბდესის დროს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მარხვა გაქვს, რათა წყალი არ ჩავიდეს შენს მუცელში.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/8378